ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა(ფაკულტეტი)

მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

კ უ რ ი კ უ ლ უ მ ი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში
Media Products and Visual Methods in Design

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია 0211

მედია ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Media Arts

პროგრამის ხელმძღვანელები

პროფესორი **ნინო თოფურია;** ასოცირებული პროფესორი **მირიან ყენია.**
დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის, მათ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.

პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს ფართო არჩევანის შესაძლებლობას, დაგეგმოს საკუთარი პროფილი.

კვალიფიკაციის მისაღებად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რომელიც შეადგენს საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსების და კომპონენტების, არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტის კრედიტების ჯამს:

1. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 153კრედიტს;
   სავალდებულო საკვალიფიკაციო ნაშრომი-შემოქმედებითი პროექტი - 18 კრედიტი;
   სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო) - 9 კრედიტი;
2. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს;
3. თავისუფალი კომპონენტის ნაწილში სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს, რომელიც მოიცავს 20 სავალდებულო კრედიტს და 10 არჩევით კრედიტს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს ჩამოიყალიბოს და/ან გაიღრმავოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაიფართოვოს თვალსაწიერი მისთვის საინტერესო სფეროებში.
4. თავისუფალი კომპონენტის არჩევით ნაწილში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 10 კრედიტი არა მხოლოდ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამიდან, არამედ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული

იმავე საფეხურის აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიერ.

დარგობრივი ინგლისური ენის განსავითარებლად პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს.

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი - 8 სემესტრი.
წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო **პრაქტიკული კომპონენტი**(პორტფოლიო) - 9 კრედიტი და
სავალდებულო **საკვალიფიკაციო ნაშრომი-შემოქმედებითი პროექტი** - 18 კრედიტი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში, რომელთა შესრულებაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაგროვებული აქვს სავალდებულო კრედიტები (153).
პრაქტიკული კომპონენტის და საკვალიფიკაციო ნაშრომი-შემოქმედებითი პროექტის დეტალური აღწერა მოცემულია შესაბამის სილაბუსებში და თან ერთვის სასწავლო პროგრამას.

სწავლების ენა

პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მიზანი

მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მომზადდეს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი გრაფიკული და ციფრული მედია ნაწარმის, მობაილ პროდუქციის წარმოების და შემოქმედებითი პროექტების შექმნის, მედია ხელოვნების და რეკლამის დარგის მრავალფეროვან ვიზუალურ საკომუნიკაციო სფეროში, რომელსაც შეეძლება გრაფიკული, ვიდეო, ანიმაციური სიუჟეტების, აუდიო, სატელევიზიო, სარეკლამო, თვალსაჩინო-საგანმანათლებლო პროდუქციის, სხვადასხვა ბეჭდვითი და მედია ნაწარმის მხატვრულ ვიზუალური დიზაინისა და ილუსტრაციების შექმნა. ასევე, შეძლებს სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ფერის რეპროდუქციის, ფოტოგრაფიის, კომპიუტერული გრაფიკის და სხვა ვიზუალური მეთოდების ოსტატურად, შემოქმედებითად გამოყენებას დიზაინში, სურათების, სიტყვებისა და დეკორაციების კომბინირებას, საფირმო სტილის, ბანერის, პლაკატის, წიგნების, ჟურნალების, პოსტერების, რეკლამის დაპროექტებას, წარმოებას, მართვასა და გამოყენებას ნებისმიერ საკომუნიკაციო სფეროში, სხვადასხვა კომერციულ, საგამომცემლო, სარეკლამო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ინოვაციურ შემოქმედებით საქმიანობაში;

აქედან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. **შეასწავლოს** მედია ხელოვნების ფართო სფერო, რომელიც მოიცავს გრაფიკული დიზაინის (სარეკლამო დიზაინის საფუძვლები/ბრენდბუქი, შეფუთვის დიზაინი, შრიფტის დიზაინი და ტიპოგრაფია, პოსტერის დიზაინი, ვიზუალური კომუნიკაცია გრაფიკულ დიზაინში, ილუსტრაცია და ა.შ.), ციფრული დიზაინის (ფოტოგრაფია და რეტუში, ვებ და აპლიკაციის დიზაინი, მოძრავი გრაფიკა, პერსონაჟის ანიმაცია, მულტიმედია დიზაინი და ა.შ.) თეორიებისა

და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ციფრული მედია პროდუქტების, როგორც დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროექტების განხორციელებას, ასევე სარეკლამო პროდუქციის წარმოებას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით;

2. **შეასწავლოს** მედია ხელოვნების და რეკლამის დარგში ძირითადი ვიზუალური მეთოდების გამოყენება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მაღალხარისხიანი კრეატიული გამოსახულების შექმნა, თანამედროვე მედიისთვის სარეკლამო პროდუქციის დაპროექტება როგორიცაა მოძრავი და სტატიური ინფოგრაფიკა, ბანერები, ლაით ბოქსები, ქალაქის/ქუჩის კონსიუმერული არტი, აპლიკაციები, ანიმაციური სიუჟეტების განვითარება, პროდუქტის შეფუთვა, გრაფიკული დიზაინი და სხვა;
3. **გამოუმუშავოს** მედია ხელოვნების პროექტზე ან მის ნაწილზე შემოქმედებითი მუშაობის უნარები - დაგეგმვა, შედგენა, განახლება, განმარტება, პრეზენტაცია, აქტუალური მასალის მოძიება თანამედროვე პრობლემატიკასთან მიმართებაში და სხვა;
4. **გამოუმუშაოს** მედია ხელოვნების და რეკლამის დარგში ზოგადი, დარგობრივ-პროფესიული, ტრანსფერული უნარები, კონცეპტუალური და სტრატეგიული ხედვა შემოქმედებითი ხედვის პარალელურად, საკვალიფიკაციო შემოქმედებით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
5. **გამოუმუშავოს** კონცეპტუალური აზროვნების და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საკუთარი იდეების, ინოვაციის ბაზარზე მიწოდების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ;
6. **გამოუმუშავოს** ეთიკური და კროსკულტურული პასუხისგებლობა მრავალფეროვან ვიზუალურ საკომუნიკაციო სფეროში, საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

დასაქმების სფერო

<u>მედია ხელოვნების ბაკალავრი,</u> **უპირატესად მომზადებულია** გრაფიკული და ციფრული მედია ნაწარმის, მობაილ პროდუქციის წარმოების და შემოქმედებითი პროექტების შექმნის, ანალიზის, განვითარებისა და მართვისათვის მედია ხელოვნების და რეკლამის დარგის მრავალფეროვან ვიზუალურ საკომუნიკაციო სფეროში.
საბაკალავრო პროგრამის სრული კურსის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ ორგანიზაციაში, როგორიცაა:
მედია, კომერციული, საგამომცემლო, სახელმწიფო, სარეკლამო, საგანმანათლებლო, საბანკო ან სხვა ორგანიზაციებში.
მას შეუძლია იმუშაოს შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის დიზაინერი, გრაფიკული დიზაინერი, ციფრული ვიდეოს რედაქტორი, ციფრული გამოსახულების რედაქტორი, ანიმატორი, ილუსტრატორი, დამკაბადონებელი, დიზაინერ–მენეჯერი, რეკლამის მენეჯერი და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტი:

1. **ფლობს** კომპიუტერული გრაფიკის, ანიმაციის, დაპროექტების ორ და სამგანზომილებიან და აუდიო-ვიდეო სისტემებს, და ამავდროულად, სარეკლამო დიზაინში, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მაღალხარისხიანი კრეატიული გამოსახულების- პროდუქციის შექმნასა და მართვის პროცესში ეფექტურად იყენებს ვიზუალურ მეთოდებს;
2. **იყენებს** არსებული ციფრული ტექნოლოგიების რესურსს გრაფიკულ, ტექსტურ, მულტიმედიურ მასალაზე მუშაობის მთელი პროცესის მანძილზე, მოიპოვებს და ამუშავებს ინფორმაციას, ახდენს მის სისტემატიზებას, სასურველი ფორმით მოდელირებას, მხატვრულ ვიზუალიზებას და დემონსტრირებას;
3. **აყალიბებს** მედიაპროდუქციის დაპროექტების მიზნებს და ახდენს მისი ამოცანების ფორმულირებას, სათანადო კონცეპტუალური მონაცემების შეგროვებას, ანალიზს; ქმნის გრაფიკულ, ანიმაციურ და ციფრული შემოქმედებით პროდუქტებს, ახდენს მათ დამუშავებასა და პრეზენტაციას;
4. **შეუძლია** შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვა, შედგენა, განახლება, განმარტება, პრეზენტაცია, საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი მენეჯმენტი და მარკეტინგი;
5. **ქმნის** მედია ხელოვნების და რეკლამის დარგში საკვალიფიკაციო ნაშრომს-შემოქმედებით პროექტს ან/და მონაწილეობს მულტიმედია, ვებ, მობაილ პროდუქციის შექმნის გუნდურ პროექტში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; აყალიბებს კრეატიულ იდეებს ბიზნეს ამოცანების შესაბამისად, ავლენს ზოგად, დარგობრივ-პროფესიულ, ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს და მათ ფარგლებში მოქმედების უნარს;
6. **არგუმენტულად** მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საკუთარი იდეების, ინოვაციის ბაზარზე მიწოდების, გრაფიკული და ციფრული მედია პროდუქტების შექმნის, დიზაინში ვიზუალური მეთოდები განვითარების დინამიკის, მიმდინარეობებისა და სტილების იდენტიფიცირების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, ადვილად იზიარებს განსხვავებულ აზრს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
7. **წარმართავს** კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იღებს ამასზე პასუხისმგებლობას.
8. **ახორციელებს** საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით;
9. **გეგმავს** საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, **თავად განსაზღვრავს** საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და **ახორციელებს** დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

☒ ლექცია

☒ სემინარი

☒ პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ ელექტრონული სწავლება

☒ სასწავლო პრაქტიკა

☒ ჯგუფური მუშაობა

სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია, დემონსტრირება, გონებრივი იერიში, პრეზენტაცია, და სხვ.
მასწავლებელი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საკვალიფიკაციო ნაშრომი-შემოქმედებითი პროექტი

საკვალიფიკაციო ნაშრომი ითვალისწინებს შემოქმედებითი პროექტის შექმნას და დემონსტრირებას. საკვალიფიკაციო ნაშრომი-შემოქმედებითი პროექტი შესრულებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო ნაშრომის სილაბუსში აღწერილი მოთხოვნების შესაბამისად.
შემოქმედებითი პროექტი არის კომპაქტ დისკზე ჩაწერილი ან/და ვებ გვერდზე განთავსებული საერთო შინაარსით შეკრული, სტრუქტურირებული მედიაპროდუქტი, შესრულებული ვიზუალური მეთოდების/ტექნოლოგიების, გრაფიკული და ანიმაციური თვალსაჩინო მოდელების, ვიდეო, აუდიო, ფოტო და ტექსტური მასალის გამოყენებით, თანდართული განმარტებითი ბარათით.
განმარტებითი ბარათი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნის მიზნის, დანიშნულების, სამუშაო ეტაპების და სტრუქტურულ-შინაარსობრივ აღწერას, სამიზნე აუდიტორიის ჯგუფების განსაზღვრას და მოსალოდნელი შედეგების ჩამოყალიბებას.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისების შეფასება დეტალურად წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილ თითოეულ სასწავლო კომპონენტში.

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.
სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება ხდება მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის

შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, პრეზენტაცია, გრაფიკული ნაშრომი და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.
დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა - 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;
შუალედური შეფასების 60 ქულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინოებებზე აქტივობას, პრეზენტაციებს, საშინაო დავალების განხილვას სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინოებებზე და სხვა, გამომდინარე სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ;

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას;
მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში; სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასებები:
(A) ფრიადი _ მაქსიმალური შეფასების 91ქულა და მეტი:
(B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90ქულა:
(C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80ქულა:
(D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა:
(E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60ქულა:

ორი სახის უარყოფითი შეფასებები:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტი დამატებით დასკვნით გამოცდაზე გადის იმავე სემესტრში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად განხორციელდეს: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები

1. **ფლობს** კომპიუტერული გრაფიკის, ანიმაციის, დაპროექტების ორ და სამგანზომილებიან და აუდიო-ვიდეო სისტემებს, და ამავდროულად, სარეკლამო დიზაინში, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მაღალხარისხიანი კრეატიული გამოსახულების- პროდუქციის შექმნასა და მართვის პროცესში ეფექტურად იყენებს ვიზუალურ მეთოდებს;

სამიზნე ნიშნული:

სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- შესავალი სპეციალობაში-მედიაპროდუქციის წარმოება და ვიზუალური მეთოდები დიზაინში
- ფერთა თეორიის საფუძვლები
- მხატვრული გრაფიკა (ხატვა)
- კომპოზიციის საფუძვლები
- ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები
- სარეკლამო დიზაინის საფუძვლები (ბრენდბუქი)
- საინფორმაციო საზოგადოება და კომუნიკაციის თეორიის საფუძვლები
- ვიზუალური კომუნიკაციები გრაფიკულ დიზაინში

2. **იყენებს** არსებული ციფრული ტექნოლოგიების რესურსს გრაფიკულ, ტექსტურ, მულტიმედიურ მასალაზე მუშაობის მთელი პროცესის მანძილზე, მოიპოვებს და ამუშავებს ინფორმაციას, ახდენს მის სისტემატიზებას, სასურველი ფორმით მოდელირებას, მხატვრულ ვიზუალიზებას და დემონსტრირებას;

სამიზნე ნიშნული:

სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ჩანახატების საფუძვლები
- ილუსტრაციის საფუძვლები
- ფოტოდიზაინის საფუძვლები
- ფოტოს დამუშავება და რეტუში
- მხატვრული ფოტოგრაფია
- შრიფტის დიზაინი და ტიპოგრაფია
- პროდუქციის შეფუთვის დიზაინის საფუძვლები (Packaging)
- პლაკატის დიზაინი
- შემოქმედებითი ტექნოლოგიები დიზაინში

3. **აყალიბებს** მედიაპროდუქციის დაპროექტების მიზნებს და ახდენს მისი ამოცანების ფორმულირებას, სათანადო კონცეპტუალური მონაცემების შეგროვებას, ანალიზს; ქმნის გრაფიკულ, ანიმაციურ და ციფრული შემოქმედებით პროდუქტებს, ახდენს მათ დამუშავებასა და პრეზენტაციას;

სამიზნე ნიშნული:

სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- კომპიუტერული რასტრული გრაფიკა (Adobe Photo Shop)
- კომპიუტერული ვექტორული გრაფიკა (Adobe Iluistrato)
- ანიმაციის საფუძვლები(რასტრული)
- კომპიუტერული გრაფიკა (Adobe InDesign)
- კომპიუტერული მოდელირება(3D-MAX)
- კომპიუტერული მოდელირება და რენდერი (გაღრმავებული კურსი)
- მულტიმედიური სისტემები
- ხმის დიზაინი და სარეკლამო პროდუქციის აუდიოშეფუთვა (Adobe Audition)
- სარეკლამო დიზაინი მულტიმედიური|(after affect, level1)
- სარეკლამო მულტიმედია დიზაინი (after affect, level2)
- პერსონაჟის ანიმაცია after affect, level3
- სარეკლამო გრაფიკა (3D-Cinema 4D)
- მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი(UX/UI Experiaence Design (XD))

4. შეუძლია შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვა, შედგენა, განახლება, განმარტება, პრეზენტაცია, საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი მენეჯმენტი და მარკეტინგი;

სამიზნე ნიშნული:

- **ახდენს** სხვადასხვა კატეგორიის ფუნქციების გამოყენებას, სწორად **შეარჩევს** ფუნქციებს სხადასხვა ტიპის მონაცემებთან სამუშაოდ;
- **განსაზღვრავს** ელექტრონულ ცხრილებთან ონლაინ მუშაობის აუცილებლობას და გაზიარების ხერხებს;
- **ახდენს** მონაცემების ფილტრაციას, სორტირებას, კონტროლს და დაცვას;
- **ახდენს** ელექტრონული ინფორმაციის დამუშავებას, სისტემატიზაციას, ანალიზს, ვიზუალიზაციას და გავრცელებას.
- გამოაქვს დასკვნები რომელიც ხელს შეუწყობს მათ შეამცირონ არასწორი დაგეგმვის რისკები და შეარჩიონ უკეთესი ვარინტები ანალიზის საფუძველზე;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო, ინდივიდუალური ნაშრომი, პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო), საკვალიფიკაციო ნაშრომი.

5. ქმნის მედია ხელოვნების და რეკლამის დარგში საკვალიფიკაციო ნაშრომს-შემოქმედებით პროექტს ან/და მონაწილეობს მულტიმედია, ვებ, მობაილ პროდუქციის შექმნის გუნდურ პროექტში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; აყალიბებს კრეატიულ იდეებს ბიზნეს ამოცანების შესაბამისად, ავლენს ზოგად, დარგობრივ-პროფესიულ, ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს და მათ ფარგლებში მოქმედების უნარს;

სამიზნე ნიშნული:

- ლოგიკურად აყალიბებს პროექტის მიზნებსა და ამოცანებს, აძლევს სათანადო / შესაბამის ფორმულირებას;
- სრულად მიჰყვება ნაშრომის სტრუქტურას;
- სათანადოდ აკონკრეტებს საკითხებს;

- დავალების შესაბამისად ამუშავებს გრაფიკულ ნაწილს; ატარებს მთელი სამუშაო პროცესის ანალიზს და დავალების შესაბამისად ამუშავებს;
- აანალიზებს მიღებულ შედეგებს მთელი სამუშაო პროცესის;
- არის გუნდური მოთამაშე - აქტიურად მონაწილეობს შემოქმედებით პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპზე (მგ. დაგეგმვა, წერა, პრეზენტაცია) ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ აზრსა და დამოკიდებულებებს მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე შესრულებულ სამუშაოსთან, ჯგუფის ცალკეული წევრების ჩართულობასთან, და ა.შ დაკავშირებით

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო,ინდივიდუალური მუშაობა/ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო), საკვალიფიკაციო ნაშრომი.

6. არგუმენტულად მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საკუთარი იდეების, ინოვაციის ბაზარზე მიწოდების, გრაფიკული და ციფრული მედია პროდუქტების შექმნის, დიზაინში ვიზუალური მეთოდები განვითარების დინამიკის, მიმდინარეობებისა და სტილების იდენტიფიცირების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, ადვილად იზიარებს განსხვავებულ აზრს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ქოფირაითინგი
- მულტიმედია პროექტის მენეჯმენტი
- პრაქტიკული კომპონენტი
- შემოქმედებითი პროექტის პრეზენტაცია
- წარმოადგენს ინფორმაციას მსმენელის ინტერესის გათვალისწინებით;
- წარმოადგენს არსებულ ინფორმაციას და საკუთარ არგუმენტებს წერილობითი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;
- პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებას;

სამიზნე ნიშნული:

- გეგმავს მედია პროექტს;
- ქოფირაითინგის სტრატეგიების საფუძველზე სათანადო ფორმით წარადგენს შექმნილ მედიაპროდუქტს აუდიტორიის წინაშე და გამოცდაზე;
- მონაწილეობას იღებს მთელი საპროექტო სამუშაო პროცესის ორგანიზებაში;
- ქმნის მედიაპროექტს და ესთეტიურად აფორმებს მას;
- იყენებს ვიზუალურ მეთოდებს;
- ახორციელებს მულტიმედიური პროექტის მენეჯმენტს
- ასრულებს პრაქტიკულ კომპონენტს(პორტფოლიო);
- ადგენს განმარტებით ბარათს;
- სათანადოდ / ყველა წესის დაცვით / წინასწარ შეთანხმებული წესების დაცვით წარადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს (პრეზენტრაცია);

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო, ინდივიდუალური მუშაობა/ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო), საკვალიფიკაციო ნაშრომი.

7. **წარმართავს** კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იღებს ამასზე პასუხისმგებლობას;

სამიზნე ნიშნული:

- მოიძიებს დავალების შესაბამის ინფორმაციას მშობლიურ და უცხო ენაზე;
- აქტიურ მონაწილეობას იღებს გუნდურ მუშაობაში;
- დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა ტიპის აკადემიურ, დარგობრივ - პროფესიულ სამუშაოს;
- აქტიურ მონაწილეობას იღებს გუნდურ მუშაობაში;
- აყალიბებს შესაბამის დასაბუთებულ დასკვნებს;
- განაზოგადებს ნაცნობ დარგობრივ - პროფესიულ გარემოში გამოტანილ დასკვნებს და დამაჯერებლად იყენებს მათ ახალ კონტექსტში;
- ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- ასრულებს პროექტს ან მის ნაწილს;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტები, რეფერატი, პორტფოლიო, ინდივიდუალური მუშაობა/ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო), საკვალიფიკაციო ნაშრომი.

8. **ახორციელებს** საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით;
9. **გეგმავს** საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, **თავად განსაზღვრავს** საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და **ახორციელებს** დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით..

სამიზნე ნიშნული:

- აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს;
- აფასებს სხვების შესაძლებლობებს;
- გეგმავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;
- მართავს დროს;
- ანხორციელებს საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით;
- მართავს მის ხელთ არსებულ რესურსებს;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო, ინდივიდუალური მუშაობა/ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო), საკვალიფიკაციო ნაშრომი.

#	სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები
A	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება
B	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება
C	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება
D	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების

	ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება
E	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება
F	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა;
დანართი 2: მიზნების და შედეგების რუკა;
დანართი 3: სწავლების შედეგების რუკა;
დანართი 4: CV ნინო თოფურია
დანართი 5: CV მირიან ყენია